



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალური ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა ღლს
 № 37 ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი 6 1898 წ. № 37

შინაარსი: მილიტარიზმი ნ. უორდანიასი. — სხვა-და-სხვა ამბავი. — უკვალის "უკორესპონდენციები. — კვირიდან უკვირამდე. — სამი სურათი, ლექსი ბ. დავითაშვილისა. — თხზულებანი შამია გურიელისა (დასასრული) ივ. გომართელისა. — მგზავრის შენიშვნები (დასასრული) ფ. პატრიშვილისა. — კვალის ფოსტა. — შეცდომის გასწორება და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი

1—6 უ ს კ თ შ ი.



მკამათ მთელი რუსეთი, მთელი ევროპა ჯარების შემცირებაზე ლაპარაკობს. ის მილიტარული წყობილება, რომელიც ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში შეიქმნა, მძიმე უღლათ დააწვა სახელმწიფოებს და განდა ხალხთა სულთამსუთავათ. აუარებელი ხალხი შეურეკიათ ყაზარმებში და ტყვილ-უბრალოთ არჩენენ, აუარებელი ფული იკრიბება და მათ შეიარაღებას ანდომებენ. ხალხის საუკეთესო ძალ-ღონე-ადამიანის სახით,

ხალხის ნაღვაწ-ნაშრომი-ფულის სახით უნაყოფოთ იფლანგება. მარა ვერც ერთმა სახელმწიფომ, ვერც ერთმა მთავრობამ ამის წინააღმდეგ დღემდის ხმა ვერ ამოიღო. და აი, დღეს მოდის რუსეთი და ქვეყანას უცხადებს: მოვიცილოთ ზურგიდან ეს უსარგებლო ბარგი, ჩვესვათ მილიტარიზმი სათანადო საზღვრებში. ამან გააოცა ვერაპა, გააკვირვა ქვეყანა. რას ნიშნავს ჯარების შემცირება? რა შედეგს მოიტანს ის რუსეთში და ევროპაში? რა ადგილი უკავია მილიტარიზმს აქ და იქ? მოგეხსენებათ რომ ევროპა და რუსეთი განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურზე არიან, სხვა-და-სხვა პირობებში ცხოვრობენ. მაშასადამე ერთი და იგივე მოვლენა, ერთი და იგივე სისტემა სხვა ნაყოფს გამოიღებს აქ და სხვას იქ. . .

ერი, რომელიც ერთხელ შედგება თანამედროვე სამოქალაქო გზაზე, უჭკველათ მან მთელი გზა უნდა გაიაროს, მთელი პროცესი უნდა დაასრულოს. მისი ექიდან გადმოვდება, ან და ერთ წერტილზე შეჩერება არავითარ ძალ-ღონეს, არავითარ საშუალებას არ შეუძლია. რუსეთი ამ გზაზე კახანა შედგა. მის გულში კი ხანია წარმოებს ის დულილი, რომელიც ნიშნობლივი თვისებაა მოქალაქობრივი ცხოვრებისა...

მემამულეთა დაუძღურება, რის მიზნებს, ჩვეულებრივით, ბატონყმობის მოსპობაში ეძებენ, უკვე ბატონყმობის მოსპობამდის დაიწყო. ყმების ჩამორთმევას კი არ გამოუწყვევია ბატონებთა უკან დაწევა, არამედ ბატონებთა უკანდაწევამ გამოიწვია ყმების ჩამორთმევა, ხოლო ორივე ერთათ მოაგლინა ერის საერთო მოძრაობამ—თანამედროვე ეკონომიურ განვითარებამ. რუსეთის აზნაურობა ჯერ კიდევ ელისაბედის (1741—1761 წ.წ.) დროს შეუდგა ვალების აღებას. მეტი სესხი, ნაკლები პროცენტი და სხვა ანეთი „მოწყალება“ არა ერთხელ მიუღია მას, მარა ვერაფერმა ვერ იხსნა ის უზომო დაელიანებისაგან. 1859 წ. 111,693 მამულიდან 44,166 მამული ე. ი. 39,54% და შეიღ მილიონზე მეტი ყმა დაგერაეებული იყო სახელმწიფო ბანკში. აღებული ვალი კი 425 მილიონს აღმატებოდა. („Обзоръ Министерства внутрен. дѣлъ“ 1860). ამ ვალის ნახევარი გასტუმრებული იქმნა ყმის ფულიდან, რომელიც მებატონეებმა მთავრობისაგან მიიღეს. მარა ვერც ამან უშველა. 1890 წ. ბანკების საერთო ვალი ავიდა 770 მილიონამდის, ამას უნდა მივმატოთ კერძო ვალიც, რაც ცნობილი სტატისტიკოსის სმირონოვის გამოანგარიშებით, ბანკის ვალს არ ჩამოუვარდება. ამ ნაირათ, აზნაურობა ნელ-ნელა დავალიანდა, დასუსტდა და დაღარიბდა. სამაგიეროთ მეორე მხრით თან და-თან გაძლიერდა და გამდიდრდა მრეწველი და ვაჭარი ხალხი. ეს კლასი იკრიბება ყველა წოდებისაგან, განსაკუთრებით კი კლეს-კაცობისაგან. როცა ისტორიული წოდება ერთ მილიარდ ვალს იღებდა, ამ გუშინდელ ვიგინდარებმა თავის 63 ათას სამრეწველო დაწესებულებებში მარტო ერთ წელიწადს (1885) ერთ მილიონამდის ხალხი აამუშავა და ერთ მილიარდის და ასოცდა ექვსი მილიონის საქონელი დაამზადა (The Statesman's Jear—Book 1892. პოლშა და ფილიანდია ჩათელილი არ არის). მემამულეთა დაწევა და ბურჟუაზიის ამაღლება, აი, ამ პროცესის მიმდინარეობა.

ახლა ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის კლასთა ასეთ ცვლილებას? სანამ სახელმწიფო ცოტა ფულით უძღვება თავის მოთხოვნილებას, სანამ მისი ბიუჯეტი პატარაა, მანამდის ის კიდევ მემამულეთა წოდებაზე არის დაყრდნობილი, მანამდის თავის უმთავრეს ძალას ამ წოდებიდან იკრებს. მისთვის საქიროა გაწრთენილი მოხელენი, რაინდი-მეომარნი და სხვ. და ასეთ პირთ ყველაზე უფრო მოწინავე წოდება იძლევა, ამიტომ სახელმწიფოს პირ-და-პირი ინტერესია ეს წოდება გაძლიეროს, ამ წოდების პირ-და-პირი ინტერესია სახელმწიფოს გულმოდგინეთ ემსახუროს. მარა, აი, სახელმწიფოს მოთხოვნილება მატულობს, მასთან ერთათ მატულობს

ფულის მოთხოვნილებაც, იზრდება ბიუჯეტი. მას რაც მეტი ფული აქვს, მით მეტს საქმეს გააკეთებდა; მით მეტათ გაღონიერდება და პირველ აღმს დაიწყებს კერს უცხო ქვეყნებთა შორის. მხედრობა, სწავლავანათლება, მიმოსვლა და სხ. და სხ.—სულ ფულის საქმეა. ერში რაც უნდა მამა-პაპური სისხლი ჩქეფდეს ომს მაინც წააგებს, თუ კი მას ფული არა აქვს. ამის ცხელ-ცხელი მაგალითია რაინდთა სამშობლო—ისპანია და ვაჭართა ქვეყანა—ამერიკა. ერთი სიტყვით, დღევანდელი სახელმწიფოს ერთათ ერთი ბურჟი ფულია. ხოლო ფული კი მრეწველთა და ვაჭართა ხელშია, და თუ კიდევ სხვების ხელშიაც ტრიალებს—ეს მრეწველობის და აღებ-მცემობის წყალობით. ამიტომ, მრეწველობის აყვავება, ვაჭრობის გაჩაღება სახელმწიფოთა უმთავრესი მიზანი და ლტოლილეობაა. აქედან აიხსნება ის ეკონომიური პოლიტიკა, რასაც რუსეთის ფინანსთა მინისტრი ამ უკანასკნელ წლებში ადგია. აი, რას წერს ის გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვაში: „თუ კი რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის მცხოვრებნი უფრო და უფრო აფართოვებენ თავის ხარჯებს და ეტანებიან დაბაჟულ საქონელთა ხმარებას, ცხალა, დანამდიღებით შეიძლება ითქვას, რომ მათი საერთო შემოსავალი მატულობს. ეს, რასაკვირველია, კიდევ არ წყვეტს შემდეგ კითხვას: ამ საერთო შემოსავლის გაძლიერება, ყველა კლასების თანასწორი წარმატებით ხდება თუ მხოლოდ რამდენიმე ჯგუფთა წარმატებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ნამდიღლათ მხოლოდ ეს უკანასკნელი პროცესი წარმოებს. ეს ასე წარმოებდა ყველა დანარჩენ ქვეყნებში, როცა წმინდა მეურნული და ნატურალური ცხოვრება მრეწველობის და ფულის ხანაში გადადიოდა. შეიძლება ამ კულტურულ ხალხთა განვითარების გზას კრიტიკულათ შევხედოთ, მარა დღემდის არაის არ უხევენებია პრაქტიკული საშუალება ყველა კლასთა თანასწორი განვითარების... თუ კი საზოგადო მდგომარეობა (რუსეთისა) დაბლა არ ეშვება, ხოლო თვითოეული ჯგუფი მალაც კი იწევა და მდიდრდება, აშკარაა, ხალხის შრომა და გარჯა ვართულებულა და საერთო შემოსავალიც გაძლიერებული, ე. ი. ქვეყანა ვითარდება იმ გზით, რა გზითაც ეს შესაძლებელია და რაც ერთათ ერთ პრაქტიკულ გზას წარმოადგენს“. ამ გვართ, რუსეთის მეურნულ-პატრიარქული წყობილება ირღევეა, ძველი წოდებები იშლება, ახალი კლასები ეთარდება და მით სამრეწველო ანუ კაპიტალისტური ხანა მკვიდრდება. აქედან, რუსეთის უმაღლესი მიზანია, რაც შეიძლება ჩქარა გაიაროს ეს გზა და ეკონომიურათ გვერდში ამოუდგეს ევროპას, ამას მოითხოვს სახელმწიფო ინ-

ტერესი. მისი მოთხოვნები დადეს ისეთივეა, როგორც მოწინავე სახელმწიფოებისა. მისი ხარჯები არ ჩამოუყარდებოან ინგლის-საფრანგეთის ხარჯებს, შეძლებით კი მათზე გაცილებით დაბლა დგას. და მართლაც 1888 წლამდის რუსეთის სახელმწიფო გასავალი მუდამ ჭარბობდა შემოსავალს (დეფიციტი), რაც ვალით იფარებოდა. აქედან ერთათ ერთი გასავალია, სახელდობრ: ერთი მხრით ქვეყნის ეკონომიურათ გაძლიერება, ნაციონალური სიმდიდრის აყვავება და მეორის მხრით ხარჯების შემცირება. პირველ გზას, როგორც ზევით ვთქვით, მთავრობა კაი ხანია ადგია. რაც შეეხება მეორეს, რომელი ხარჯი უნდა შემცირდეს, თუ არა ის. . . ასეთი ხარჯია — ხარჯი ჯარების შესანახი. გასულ წელს რუსეთს ჰყავდა ყაზარმებში ერთი მილიონი ჯარი და მას დაეხარჯა 344 მილიონი მანეთი და ეს დიდი უღელია ქვეყნის მრეწველობისათვის. ეს ამოდენა ხალხი და ფული მთავრობის მიზანს — ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინებას — რომ მოხმარდეს — რუსეთის შეძლება ჩქარა გაუთანასწორდება დასავლეთ-სახემწიფოებისას. აი, რატომ დადეს რუსეთი ჯარების შემცირებას თხოულობს, აი რატომ ეწინააღმდეგება ის მილიტარიზმს...

ნ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მფილისმა წელს სამი ახალი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დაარსა. თითოში 50 შევირდი უნდა მიეღოთ, მარა სკოლის კარებს იმდენი მოაწყდა, რომ უმრავლესობას უარი უთხრეს ადგილი არა გვაქვსო. აელაბრის სკოლაში 200-მდე მოთხოვნილი ყოფილა.

ქალაქის 30 მუშამ პოლიცემისტერთან იჩიელა: იჯარადაზი ვართანიანი აგერ ორი თვეა ფულს არ გვაძლევსო. ამ იჯარადაზს აგრეთვე მუშებრასათვის გამოურთმევია ოც-და-ათ თუმანადე ფული და დღესაც არ დაუბრუნებია.

თფილისის საბაღოსო სასწავლებლის გამგემ ბ. კრაიჩენსკომ, თხოვნა მისცა სამსახურიდან განმათავისუფლეთო. ეს უეჭველია, შედეგია იმ არეულ დარეულობის, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი იჩინა სკოლაში.

ბაქოს კაპიტალისტებმა თავის მუშებისთვის დაარსეს საჯარო-სკოლა, მარა ისე ცუდათ უვლიან თურმე ავით-მოუფებს, რომ შიგ შესვლას უფრთხიან,

ლენი და ბალიშები რალაც მაგარი ბალახებით გაუფულენენ. ვანებში სამ და მეტ სხვა-და-სხვანაირი ნივთი მყოფს ერთათ აბანებენ და წყალსაც არ ცვლიან, ჩი მართო ცხელი წყლისაგან შედგება და სხ. ასეთი კაპიტალისტური გულმტკივნეულობა.

„აბ. მიმოხ.“ სიტყვით პეტერბურღში არსდება კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ერობის და სასამართლოს რეფორმების საქვე კავკასიაში. აგრეთვე მთავრობას თხოვენ ერთი ახალი ვაზეთ-ს გამაცემის ნებართვას, რომელიც დაიბეჭდება რუსულათ, ქართულათ და სომხურათ და განსაკუთრებოთ კავკასიის საქმეება ადვენებს თვალ-ყურს.

წელს ქუთაისის გუბერნიაში 60 ათასი ფუთი პარკი მოუყვანიათ.

ამ წლის პირველ ნახევარში ამიერ კავკასიის რკინის გზაზე უმოგზაურია ერთ მილიონ 330 ათას პასაჟირზე მეტს, და გადაუტანიათ 71 მილიონი და 786 ათას ფუთზე მეტი საქონელი. გასულ პირველ ნახევარ წელთან შედარებით პასაჟირთა რიცხვს უმატია (118 ათასი კაცით) და საქონელთა რიცხვს უკლია, (371 ათასი ფუთით). აგრეთვე უკლია შემოსავალსაც სამ მილიონ 570 ათასი მანეთით, რაც აიხსნება ნავთის გადასატანი ქირის დაკლებით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გამოუთქვამს, რომ ქიათურის რკინის გზის ტარიფი შეიძლება ოთხი კაპეკით შემცირდესო ე. ი. ფუთზე ათი კაპეკის მაგიერ ექვსი კაპეკი გადახდესო.

სოხუმელთ თხოვნით მიუმართავს ეკზარხოსისთვის ნება დარჩეთ სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართულათ სწირონო.

ბათომში იხსნება ქალაქის პირველი სახალხო სკოლა.

31 აგვისტოს მოხდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების რჩევის სხდომა. რჩევამ, ბ. ევტისი მიმინაიშელის შუამდგომლობით, დაადგინა: გაიხსნას ოთხი პირველ-დაწყებითი სკოლა სენეთის შემდეგ ადგილებში: ფორში, ცხმორში, ბეჩოს და ლახამულში.

ამბობენ, რომ უწმინდესმა სინოდმა საქართველოს სამღვდლოებ სათვის 60 ათასი მანეთი გადადოეო.

ქუთაისიდან გვერენ: სათავად აზნაურო სკოლის

გამგენი ძალიან განსაცდელში არიან ჩივარდნილი. წელსაც აუარებელი ბავშვები მიუყვანათ; ორასამდის თხოვნა შეტანილი და ვაკანსია კი სრულდებით არ არის. ის 45 ვაკანსია, რომელიც კიდევ არის, შარშანდღეობსაც ძლივს დააკმაყოფილებს. ზოგი ერთ დედამამას ვინიცის რა სიშორიდან ჩამოჰყავთ ყოველ წლივ ზედი-ზედ ყმაწვილები და უვაკანსიობის გამო ვერ დაუბინავენია. ძნელი წარმოსადგენია მათა მწუხარება. ყველა თხოვს: ოღონდ მიიღეთ ჩვენი შეიღებები და ცოტა ოდენ ფულს, რაც უნდა გაჭირებული ვიყოთ, გამოვიღებთო. მართლაც ათასჯერ წასვლამოსვლას, მთელი კვირაობით ქუთაისში დგომას ფულის გამოღება ჯობს. არც აგრე ძნელია მათი თხოვნის დაკმაყოფილება, ოღონდ პარალელური კლასი გაიხსნას; ამისთვის ოთახიც და მოწყობილობაც მოეპოვებათ, მხოლოდ დროზე ნებართვის მიცემა საჭირო; თორემ ღარიბი აზნაურობა ქუთაისში ყოფნის ხარჯს ვერ გაუძლებს და გულ დაწყვეტილი დაბრუნდებიან და უმეტესი ნაწილი ყმაწვილებისა სამუდამოთ გამოეთხოვებიან სწავლას. ამასთანავე არ შეგვიძლია ერთი რამე არ შევნიშნათ: თითქმის ყველა ვაკანსია პირველ განყოფილებაშია და რადგან მხოლოდ შარშანდღეობს მიიღებენ და ის ბავშვები უფრო მეორე განყოფილებისათვის გამოადგებიან, ამიტომაც სწავლა შეფერხდება და ბავშვები წარმატებას ვერას ნახევენ.

ეს სკოლა შენობას იცვლის და ამაზე ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმაა. გადადის სულ მეორე მხარეს, მთაზე, ჯაიანის სახლებში. გზა მიუყვლიაო, ამბობენ და გარდა ამისა იმ უბანში ღარიბი მოსწავლეებისთვის ბინა ძნელი საშოვარი იქნებაო. გაღმა კი სადაც აქამდის სკოლა იმყოფებოდა, ცხოვრება იაფი იყო და შეგირდების დაბინაება ადვილი.

სოფ. გოგოჯეთიდან. (გურია) გვწერენ: ამ სამი წლის წინეთ აქ აიჩიეს რამდენიმე კაცი და მათ მიანდევს გაჰყიდონ საეკლესიო მამული და ეს ფული ეკლესიას მოახმარონ. მამული ჩქარა გაუყიდიათ, ხოლო ფული კი არსად ჩანს, ახლა ხალხი მათ და ღედელს, რომელსაც ვითომ ორასი მანეთი უნდა მიეღო, ანგარიშს თხოვს, მარა ამაოთ. საჭიროა ამას უურადლება მიექცეს.

ლექსუმიდან გვწერენ: 15 ენკენისთვიდან თვის დამლევამდე აქ, დ. ცაგერში იმართება „იარმუკა“, როგორც ლექსუმლების — ისე სხვა მრავალთათვისაც. აქ ამ დროს იკრიბებიან სვანეთიდან, რაჭიდან, ქვემო და ზემო იმერეთიდან და ოსეთიდანაც. აქ მათ ეძლევათ შემთხვევა ერთმანეთი ნახონ, თავისი ნაწარმოები გაასაღონ და სხვისა შეიძინონ.

ქუთაისის ქალაქის თავს ერთი სასიერო ამბავი დამართნია. მოსკოვში იმპერატორი ალექსანდრე მეორის ძეგლის კურთხევაზე მას სიტყვა წარმოუთქვამს, ხოლო გაზეთებმა და ტელეგრამებმა ეს სიტყვა თვლის ქალაქის თავს მიაწერეს, მაშინ როდესაც ბევანგულოვს კრინტიც არ დაუძრავს.

ამ დღეებში ქ. ქენევაში ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ერთმა იტალიელმა სადგისით მოჰკლა ავსტრიის დედოფალი ელისაბედი. ეს მოხუცი ადამიანი არასოდეს პოლიტიკაში არ ერეოდა და არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე მის გველენის ქვეშ არ ყოფილი. მკვლელს ანარქისტათ მოაქეს თავი.

ჩინეთის პირველი სახელმწიფო მოღვაწე ლი-ჰუნგ-ჩანი, მომხრე რუსეთისა და მოწინააღმდეგე ინგლისისა, გადაყენებულ იქმნა თანამდებობისაგან. ამას კი ხანია ინგლისი თხოულობდა.

„კავალის“ კარესპონდენციები.

სსუკო. (მამასახლისების არჩევა). თელავის მაზრის ალანან გაღმა მხარი სულ თორმეტობდნე სამამასახლისოა, ოცამდე დიდი და პატარა სოფლებით. საკვირველია ზოგიერთ ამ სოფლების მცხოვრებთა მდგომარეობა. ბევრი მათგანი ამოწყვეტის გზაზე დამდგარა. წინეთ, როდესაც თითო სოფელი ორ და სამ სამრევლოთ ითვლებოდა, გაჩაღებული იყო თავისი ჩინებული ვენახით და ბალ-ბოსტნებით; ახლა ზოგ მათგანში სამი და ოთხი კომლი ძლივსა ბეჭუტავს, მაგ. ფაშანი, ტურის-ციხე, ზეკანი, კინჭრიანი, ხაჩიანი, კუჭატანი და სხ. ამ ოცი ორმოცის წლის წინეთ, განთქმულნი საუკეთესო ღვინოებით და ხალხის სიმრავლით, ეხლა თითქმის ნანგრევებსა წარმოადგენს. 1000 და 2000 კომლის მაგიერათ აქ ახლა სულ ასი კომლი აღარ ირისცება. 1000 და 2000 კეკლუცი ზვრების და მდიდარ ვენახების ნაცვლათ, აწ აქა იქლა შეხედებით ვაზიან ადგილებს, იმასაც ამოვარდნილს და გაწრიოკებულს. ვენახების ამოვარდნის მიზეზია მცხოვრებთა უღონობა და მათი ამოწყვეტა, ხოლო მკვიდრთა ამოწყვეტა კი დამოკიდებულია მრავალ ადგილობრივ გეოგრაფიულ და კლიმატიურ პირობებზე, რომლებსაც სასურველია აქაურმა სამაზრო ადმინისტრაციამ ყურადღება მიექციოს და ამაში მაინც გამოიჩინოს გამჭრახობა მაზრის მზრუნველობისა და მკვიდრთა გამრავლების საქმეში. საჭიროა ამ მიზეზების საფუძვლიანათ გამოკვლევა და მათი თავიდან მო-



შორება. გარდა ზემოთ დასახელებული სოფლებისა ალაზან გაღმა რჩება სულ ექვსიოდე სოფელი, სადაც სიცოცხლე დულს და ცხოვრება ახალს ფერს იღებს, ძველ სოფელურ, ტრადიციულ პირობებს შორდება და მოქალაქობრავ გზას ადგება. სწორეთ ამ სოფლებში დატრიალდენ მამასახლისობის მოტრუიალე „დეე გმირნი“: ნასწავლი და უსწავლეელი, თავადი და გლეხი, ვაჭარი და აზნაური ერთმანეთში აირიენ, ერთმანერთს ეცენ, ბევრი ღვინო დაილია, ბევრი გასაცემი გაიცა და უფრო ბევრი საიმედო სიტყვა და ხარჯა! არის აქ რამდენიმე მისთანა სოფელი, სადაც ჩვენი თფილისის „ნასწავლი“ ყმაწვილებ-კი კადრულობენ მამასახლისობას, „თუნდ უჯა მაკროთაც“, მაგრამ ავერ რამდენიმე „ყველობა“ ჩაღა გამოვლებულენი უკან თურმე ბრუნდებან. თუმცა ჩვენ გლეხობაზე ის აზრია ყველგან შედგენილი, რომ იგი გაუნათლებელი და შეუგნებელია, მაგრამ ვსაც უცხოვრია სოფლებში და დაჰკვირვებია გლეხთა დალაგებულ სჯას, მათ პრაქტიკულ ნიჭს, თავისი ინტერესების დაცვას, ის დარწმუნდება, რომ ერობის მოწინააღმდეგენი სრულიად უსაფუძვლოთ ჰქვრიან. იქნება აქ ის შიშიც იმალებოდეს, რომ ძველი წესების დარღვევით, ვისიმე პარადული ღირსება დამცირდება, უფლება შეღახება, ქვეყანა დაიღუპება! ჩვენ ხალხს (იგულისხმე გლეხი), რომ შეგნებული მეთაურები და მათის სურვილის კანონიერი დამცველი და აღმასრულებელი ჰყავდეს, გარწმუნებთ. ბევრი რამ საოცარი და სასიკეთო გაკეთებოდა სოფლით. მაგრამ ვინ არის სოფლის პატრონი? ეს უღვივის გულში ცეცხლი ერის სიყვარულისა და წინ-მსვლელობისა? „ნაჩინონიკარებს“, რომლებიც მამასახლისობას ცდილობენ სოფლით ყოველის გამრყენელის და უზნეო სახსრებით? სოფლის მწერლებს? თავადებს? მღვდლებს? ვაჭრებს? არა და არა; თვით ხალხმა უნდა უპატრონოს თავის თავს, თვით ხალხში უნდა დაიბადოს თავის ინტერესების გატაცებულათ დამცვენი. რაც შეეხება მამასახლისებს, რომლებიც ახლა ალაზან გაღმა აირჩიეს, ხალხში არეულ-დარეული აზრი ტრიალებს. ზოგან თურმე ხალხს პირდაპირ უთხრეს ესა და ეს პირი უნდა აირჩიოთ, პოლიციას ეს მოწონსო და აარჩევინეს კიდევ. ამორჩეულმა, წაქეზებულმა ასეთის ხალხის თანხმობით, ყველგან მოიწადინა თავის კანდიდატების გაყვანა, თავისი ყურ-მოჭრილი ყმების გამამასახლისება, მაგრამ ერთ სოფელში ძალიან დამარცხდა, მისი კანდიდატი ხალხმა სამჯერ ვაშაგა. ამბობენ სოფელ ყვარელშიაც ხალხის სურვილის წინააღმდეგ აირჩიეს მამასახლისიო და გლეხები განსაჩივრებას აპირებენო. სოფ. შილდამ მამასახლისათ სოფლის

სკოლელი, ადგილობრივ დეპ-ას კასსირათ ნამყოფე ახალგაზდა გლეხი აირჩია. სოფ. ბეჟანია — კი მამასახლისობა პატიოსან კაცათ ცნობილს აზ. ჯაფარიძეს დაავალა. მამასახლისების დანიშნულებაზე და სოფლის ავ-კარგზე შემდეგ მოველაპარაკები „ქვალის“ მკითხველებს.

შილდელი.

უწკრა (რაჭის მაზრა). ვინ არ იცის რომ უწერის მჭავე-წყლები დიდხინიდან არის სახელო განთქმული სხვა-და-სხვა სნეულებათათვის სამკურნალოთ; მას ეტანება უმეტესათ ქვემო იმერეთის და ოდიშის ხალხი.

მოწყობილება უწერის საავარაკოებში ჯერჯერობით შეფერხებულია. სასამელი მჭავე წყალი (ფერმა) კი რიონის გაღმით არის მთაზე მიკრული, რომელიც საღვამ სახლებს ერთი ვერსით დაშორებულია. უმეტესი ნაწილი მავარაკეთა დილა-სალამობით აქ იყრიან თავს, მარა აქაც ცოტა უფერულობა ეტყობათ. ყველაზე შემაწუხებელი განზოგად უგაზეთობა და უქეიმობა.

მართალია ერთი მაზრის ექიმი დაბა ონში არის, მარა ის ღვინის მკურნალი უფრო არის ვინემ კაცის: ერთხელ აქაც (უწერაში) გვესტუმრა, მარა ჩვენდა საუბედუროთ ორმანეთ ნაკლებ არაინ გაშინჯა და შემდეგ ისევ ღვინოს მიუჯდა. ჩვენდა სასამოვნოთ ქალაქიდან კავკაეთით ემოგზავრა ექიმ ხუდადოვს და შემდეგ აქ ჩამოიარა. ერთმა თავადმა მიიწვია ბ. გლიძის თხოვნით და შემდეგ სხვებიც ინახულა, არც ერთ ალაგას არაფითარი შრომის ფასი არ აუღია. სისუფთავეს და წესიერებას ძრელო ენერგიულათ იცავს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. გოცირაძე.

აქაურ მცხოვრებლებზე ჯერ ვერას ვიტყვით; შევნიშნავთ მხოლოთ სკოლების უქონლობას და ჯერ კიდევ პატრიარხულ ურთიერთობის დაცვას. თითო ოჯახში ცხოვრობს ოცდა ათიდან ორმოცამდე სული. დ. ონში არსებობს ორ კლასიანი სასწავლებელი და მეტა არც სასოფლო სკოლა და არც სამრევლო. ახლა განუზრახავთ ბატონ მაზრის უფროსის თაონობით საქალებო სკოლა დაარსონ, რომლის სასარგებლოთ ფულები იკრიბებოდა უწერის მავარაკებთა შორის. ვისურვებთ რომ ამ კეთილ საქმეს სხვა მრავალიც ზედ დამატებოდეს, რომელთა რიცხვში უპირველეს ყოვლისა რკინის გზის გამოვლა აქ საჭიროა, რაც საუნჯით საესე ზემო რაჭას ამოძრავებს და ერთს ორათ შესძენს.

ყაჩანი.

ქ. ფოთი. გარეგანი შესედულობით ფოთი კარგ

პატარა ლამაზ ქალაქს წარმოადგენს, ქუჩები ფართო, მარჯვე და წმინდა, ლამაზი ბუღეარო და პარკი პრეველ ნახვანე კარგ შთაბეჭდილებას იძლევა, მარა შემდეგ როცა გარკნობთ, აზრი უსათუოთ გეცვლებათ და გულ-ჩაკლულათ რჩებით.

აქ მომსვლელები ძალიან გაჭირვებაში ვარდებიან ხშირათ ცუდი სასტუმროებისაგან. ერთთ-ერთი სასტუმრო „კოლხიდა“ (სხვასთან შედარებით) იყო, საცა კაცს შეეძლო ღამე გაეთია და ახლა ისე დაიხურა; დენარჩენები კი წარმოადგენენ ერთგვარ-ლულ-ხანას, სადაც გაჩაღებულია გარმონით და არფით ღროს ტარება და არფიანკებთან ლაზღანდარობა; აქ ნახვით ახალგაზდასაც, მოხუცსაც და ხშირათ პატარაებსაც კი, რომლებიც იმათი ქეიფობით აღტაცებაში მოდიან და ყოველივეს კარგათ იმახსოვრებენ, საღამოს, რვა საათს შემდეგ, ეს სასტუმრო ლულ-ხანები ხშირათ გარყენილობის მორევით იქცევიან. რიგიანათ მოსვენება და მომსვლელის ღამის გათევა აქ ყოვლად შეუძლებელია. მე თვითონ, ამას წინათ, შევედი ერთ „სასტუმროში“, ღამე იყო, კიბეზე ასვლის უმაღლ მომესმა დაირის და გარმონის ერთათ შეწყობილი ხმა და ქალის კისკისი; მე ეჭვში შევედი, სხვა ადგილი არ იყოს მეთქი და მიემართე კითხვით იქვე შორი-ახლო მდგომ ქუჩის დარაჯს, მან მომიგო სასტუმროაო და მეც შევადე კარები და შევედი ერთ ზალაში, შუაში იდგა ვაშლილი სტოლი, რომელსაც მოჯდომოდა სამი კაცი და ორი ქალი და ერთმანეთს ეხვეოდნენ; იქვე ძირს ეყარა ღვინის და ლუდის ბოთლები; შესვლის უმაღლ შემოძახეს „დაგვეწვიე ყმაწვილო“-ო. მე შევკრთი და უკან წამოსვლა დავაპირე, მარა მოვიდა მაშინვე სასტუმროს პატრონი და მიმიპატიჟა: მე უარი ეუთხარი, აქ მოსვენება არ შეიძლება, ამისთანა ხმაურობაში მეთქი და წამოვედი. „რა ექნა ბატონო—მომადახა უკანიდან—ჩვენ ამის „რაზრეშენია“ ქე გვაქვს და თქვენი გულიზა ახლა აქათ ვერ დავითხოვ, რადგან ესენი ამაღამ ათ-ხუთმეტ მანეთს დავეიტოვებენ“-ო. კარგი იყო ამისთანა „რაზრეშენი“-ზე ყურადღება მიექციათ ვისიც ჯერ იყო, მაგრამ ფოთი ამ მხრითაც სუსტი გამოდგა. არის კიდევ დამალული სახელით (მე ასე მგონია, რადგანაც არავითარი განცხადება არა აქვს გამოფენილი) სასტუმროები, სადაც კიდევ უარესები ხდება. აქ ხშირათ გროვდება მთელი ჯგუფი „პროსტიტუტკები“-სა, რომლებიც თავისუფლათ თარაშობენ.

განათლებლათაც ფოთი ხომ უკან ჩამორჩენილია; იმისთანა სოფელს გურიაში თითქმის ვერ ნახავ სამკითხველო არ ჰქონდეს; ფოთს-კი დღევანდლამდის ერთი პატარა სამკითხველო ვერ გაუღია, რომ ცო-

ლაოდნათ მაინც გააერთოს საზოგადოება წიგნების და გახეტების წაკითხვით და მოაშოროს სალაზღანდარო საგნებს. ახლა-კი ფოთის გასართობი ადგილი, ალაფიძის, კვინიხიძის და სხვათა ღვინის საწყობები და ზემოთ დასახლებული სასტუმროებია.

გარდა ამისა არის აქ კიდევ ერთი რესტორანია „მაკედონია“, სადაც გავსებულია მთელი დღე და ღამ ქალაღლის, ნარღის, ღომინოს და სხვა სათამაშოთა მოტრფიალეთაგან; აქაც გასართობათ მოდიან, ЧТОБЫ УБИВАТЬ ВРЕМЯ, როგორც თკითონ ამბობენ. ბევრჯელ გამიგონია მატარებელზე მოსამსახურეთაგან, რომლებიც ხშირათ მთელი დღეობით თავისუფალნი არიან, „ძალა-უნებურათ ღვინის სმაში და ლოთობაში ევარდებით, რადგანაც სხვა თავის გასართობი არა გვაქვს“-ო, სამკითხველო რომ იყოს ეს ნაკლები იქნება, რაც საწყენი იქნება მეღვინეებისათვის და სასტუმრო-პიეხანების პატრონებისათვის.

აქაურებს რომ ჰკითხვით, რატომ აქამდის ერთი ბიბლიოტეკა ვერ დავიარსებიათო—ასე მოგივებენ: „ბიბლიოტეკა“ ჰქონდა აქ ლ. ტ—ს, მარა მკითხველი არავენ იყო და თუ ვინმე წიგნს წაიღებდა მაინც ბოლოს აღარ მოუტანდა და იმ კაცმა ვეღარ გაუძლო და დაკეტაო; ეხლა-კი ჩვენ ძირითად მცხოვრებლებს, რადგანაც შემოსულებზე უფრო ნაკლები ვართ—მარტო არ შეგვიღია დავაარსოთო და შემოსულები-კი არ კისრულობენ, რადგანაც ისინი წამსვლელები არიან“-ო. „ერთი მეორეს ბაძითაო,—სახლი ამისო ნავეითა“-ო, იმისი არ იყოს, ფოთს ბაძით ისეთი რამე აკლია, რაც დიდ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის. რომ რამოდენიმეს ეთავებინათ ხელის მოწერითაც შეიძლებოდა შეგროვილიყო ბიბლიოტეკის დასაარსებელი ფული, მარა ასეთები სადაა?!

არიან აქ ორიოდ მე მანდილოსანნი, რომლებიც ხშირათ საქველ-მოქმედო საქმისათვის ზრუნავენ, მარა მარტო ამათ რა შეუძლიათ, როცა სხვა დამხმარე არა ჰყავთ. აქაურ ქალიშვილებს-კი ამისთანაებისათვის არ სცალაწანთ, ამათთვის გიტარა და ბუღეაროში სეირნობა უფრო საჭირო საკნათ გამხდარა.

სტუმარი

კვირიდან კვირამდე

ოზონიცი — ღამე მშვიდობით — ბრძოლა — ბრძოლის შექმნა — პატრიოტთა სხვეწარი — მიდენის მოდენის — სოკდაგართა დავთარი — ერთი ადვილი სკოლა —?! —

მე რომ მკითხვით ყველაზე უფრო რა მოკწონს



ცხოვრებაში — გეტყვიტ ოპოზიცია — მეთქი. და მართლაც, თუ რამე სიტუაციის ნაპერწკალი ანათებს, თუ ცოტაოდენი სხვა-და-სხვაობა და შეჯახ-შემოჯახება არის — ეს ყველა ოპოზიის წყალობით. გამოთქვი რაიმე აზრი, დაიწყე რაიმე საქმე, მაშინვე ერთი მხინც წინ დაიხედება და რახიანათ შემოგდებებს, მაგის ოპოზიცია განლაგარო. ერთს ერთი მემხრო, მეორეს მეორე და გაიმართა ერთი ვაი უშედეგელი, არა მე და არა შენო. ამ დავიდარაბაში, რასაკვირელია, ბევრი წყალის ნაყვა იქნება, ათასი სისულელე ითქმება, და კიდევ მეტი იქმნება, მარა საქმე ამაში ხომ არ არის, საქმე ის არის, რომ რალაც მხინც ითქმება, რალაც მხინც ამოძრავდება და განა სრულიად გაჩუმებას, უქრობას და ბალი-ალობას ეს არა ჯობს? აი, აპიტომ დიდათ შესაბრალოსი უნდა იყვენ ისინი, რომელნიც ჩუმათ, წყნარათ, შეუნძრევლათ ატარებენ ამ წუთისოფელს. და განა არის ასეთი კუთხე ქვეყანაზე? ქვეყნის რა მოგახსენო და ამ ჩვენ საქართველოში კი განლაგეს, იმ საქართველოში, სადაც თითქმის ყველა ერთი მეორის ოპოზიციაა.

* *

და მერე იცით სად? იმერეთში, ამ ცეცხლის მფრქვეველთა ქვეყანაში. მთელი იმერეთი, ასე ვთქვათ, ერთ დიდ ოპოზიციას წარმოადგენს, და აი, ამ საერო-ოპოზიციაში ერთათ ერთი ქალაქი ფოთი განისვენებს უოპოზიციოთ. ფოთში ყოველივე შინაურულათ, უწყინარათ, მამა-შვილურათ წარმოებს. აი, მაგ. ამ ერთ კვირაში იქ ქალაქის თვით-მართველობის განახლება მოხდება. ასეთი ამბავი სხვა ქალაქს ცერებზე დააყენებს, მოქალაქეთ შეანძრევს, შეაშფოთებს, ფოთი კი ამას აინუნშიაც არ იგდებს, ეს აქ არავითარ პარტიობას, დას-დასობას და ბრძოლას არ იწვევს: ვერავინ ვერ ბედავს ხმის ამოღებას, ენის შებრუნებას, თავის აზრის გამოთქმას. ფოთელნი რალაცას, თუ ვილაცას, დაუშინებია, დაულახვრავს და ხმოსანთა ასარჩევ მანქანათ გადაუქცევია. და მერე რატომ? განა იმიტომ რომ ვითომ ფოთელი არაფერზე არ ფიქრობდეს, არაფერზე გული არ შეტკივოდეს? სრულიად არა, ფიქრობს, დიდათაც ფიქრობს, და სწორეთ ეს არის მისი ბალი-ალობის მიზეზი. მისი საფიქრებელი საგანი ბუხტი განლაგეს. მას ყოველგან და ყოველთვის ბუხტი ელანდება და სხვა რამასთვის აღარ სურს მოიკალოს. ქალაქი, რასაკვირელია, მართო ბუხტიდან არ შედგება, აქ ქუჩებია, სახლებია და ხალხიც ცხოვრობს, მაშასადამე ამათ სხვა რამე საერთო მოთხოვნილებაც უნდა ჰქონდეთ, მარა ის ბუხტი, იმას რა უყონ! მართალია, მისი გაკეთება სხვას ჩააბარეს, იჯარით გასცეს, ფოთს თითქმის აღა-


რაფერი ეკითხვის, მარა ფოთს „ლაქჯანინი“, ამთ არ არის კმაყოფილი, ის სულ ბუხტი, ბუხტიო გაძახის. ერთი სიტყვით, ბუხტმა შთანთქა მთელი ფოთი, ბუხტმა დაძინა ფოთელი და ნანინას უგალობს: სანამ მე არ გამოგაღვიძო, შენით არ გამოიღვიძო. ეო. მაშ, ღამე მშვიდობის ბატონო ფოთელიო!

* *

სამაგიეროთ ქუთაისის ოპოზიცია არ ისვენებს, მას დღე და ღამე არ ძინავს. ის ჯერაც ვერ შერიგებია იმას, რაც ამ ორი თვის წინეთ მოხდა. და რა საშინელება მოხდა მოგეხსენებათ, ოპოზიციამ ჯერ ქვეყანას შეატყობია ომი მოვიგეთო, მერე ეს ვითომდა მოგებული ომი წააგეს და ახლა, მოგვინებით, მისი კალმოსონი გამოსულა „ან. მიმოხ.“ სარბიელზე და გვიმტკიცებს წაფავეთ, მარა წაგებული არ ვართო! ნეტავი ვიცოდეთ: ეს თავის-თავის ნუგეშია თუ უბრალო გულის მოფხანაა? მარა რომელიც უნდა იყოს, ძალიან დაგვიანებია ოპოზიციის „მეთვალ-ყურეს“. ახლა რაქდენიც უნდა იმპერმეტყველოს ლოლუა არ ვარგაო, ამ ოთხ წელიწადს მას აღარავინ გამოუცვლის, ხოლო სხვებს კი გააკვირვებს. და ნუ თუ საკვირველი არ არის ეს, ის რაც არჩევნის წინ უნდა ეთქვა, არჩევნის მერე ამბობს. ეს არის ბრძოლა? ბრძოლა გათავდა, ბ. „მეთვალ-ყურე“ კი მხინც არ ეშვება, ის იბრძვის, ვისთან, ვის წინააღმდეგ ეს ალახმა უწყის, მოედანზე კი არავინ არ დარჩენილა გარდა ბ. „მეთვალყურისი“. აი, სწორეთ ამ ბრძოლას კი მოიგებს ქუთაისის ოპოზიცია!

* *

ერთი ძლიერი ოპოზიცია თუილისის გუბერნიის თავდა-აზნაურობამაც შეადგინა. მოგეხსენებათ, რომ საშინაო-სააზნაურო-საქმებში ის დას-დასათ არის დაყოფილი. ერთის აზრი მეორისას არ ეკარება, მარა როგორც კი გარეშე ვინმე შეეფეთება — ეს დასობაც ისობა და მთელი თავისი საესებით წინ-წამოდგება საბრძოლველათ. აი, ეს გარეშე განლაგეთ მათი ხიზნები. ხიზნების ძალით აყრა და თავის მამულიდან განდევნა ნება დართულია; მარა სამაგიეროთ ხიზნების ერთა-ორათ დაჯილდოება მემამულის მიერ სავალ-დებულთა. და აი, სწორეთ ეს არ მოეწონა ბრწყინვალე წოდებას და უმაღლეს მთავრობას თხოვა: შეგვიმსუბუქეთ უღელი, ნება მოგვეცით ჩვენ ხიზანს მარტო ის მივეკეთ, რაც თითონ დახარჯა მამულის გასაშენებლათ და მამულიდან აეყარათო. მარა სამინისტროს ეს არ შეუწყნარებია, მათი აყრა ისე აღვილათ არ შეიძლებაო. დაჩა ხიზანი თავის სახლ-კარში...



ა რ ი ა ნ ა,

ბუკმენთა თქმულებით ის იყო ქალი მინოსის, რომელმაც ისხნა თუხეი სიკვდილისაგან, მან თუხეიმ ის ჩქარა ძიატოკა და მისთვის თაგებანწირულ აჩიანსამ ჟგო-რით ზღვაში თავი დაისწრო.

ერთი ახირებული ოპოზი-
ციის მოტრფიალე პროვინციის
პოლიციაც ყოფილა. ვთქვათ
ერთ მაზრაში ავაზაკები გამოჩნ-
დენ, ხალხიც აიკლეს, მერე რო-
გორც იყო პოლიცია დაედევნა
და რასაკვირველია, ავაზაკებმაც
მოკურცხლეს. მისდევს ჩაუარი
და მისი უნცროს-უფროსი, ესეც
არის უნდა დაწიონ, კისერში
ხელი უნდა სტაცონ, რომ ყვე-
ლა უცებ შედრკა, ხმალი ქარ-
ქაშში ჩააგეს და არხენათ უკან
დაბრუნდენ. რატომ, რა მოხდა?
რა და მეორე მაზრის მიჯნას
მიადგენ და ეს ჩვენი სადარაჯო
ალარ არის, ამას იქით სხვა და-
რაჯებია და მათ უფლებას ვერ
შეგვებდითო. იქაც, რასაკვირვე-
ლია, ყაჩაღები თავისას შერებიან,
მდევართა თანამგზავრობით სხვა
მაზრაში გადაეღენ და ასე ბო-
ლომდის. ერთი სიტყვით, ეს ერ-
თნაირი მიდენია-მოდენიაა. ერ-
თი მაზრა მეორე მაზრას უდევ-
ნის თავის ყაჩაღებს, ჩემი შენ-
თანაო, და ყაჩაღებაც თავისუფ-
ლათ დაპარპაშობენ ხან იქით და
ხან აქეთ...

არა უარესათ პარპაშობს ეს
ჩვენი თფილისის ქალაქიც თფი-
ლელოთა ზურგზე. მოგეხსენებათ,
რომ სხვაგან, სხვა ქალაქებში
ცდილობენ ქალაქის მუშათა
მდგომარეობა გააუმჯობესონ,
ადამიანურ მდგომარეობას და-
ამსგავსონ. ხოლო ეს ჩვენი ქა-
ლაქის გამგეობა კი მეცადინე-
ობს მუშის ჯობით ყაირათი გა-



სიყვარულის ისარი.

სწიოს და სოლოლაკს მოახმაროს. მას აუშვია ვი-
ლაც თავისიანები, მოიჯარადრის სახელით დაუნათ-
ლავს, და მუშა-ხალხს არა თუ ქირას აძლევს, პარ
აქეთაც ართმევს სიმწარით შენაძენ გროშებს. ეს კი-
დევე ცოტაა, მას შემდეგ, რაც გამგეობამ თვითონ
იკისრა ქუჩების განათება, ზოგ მივარდნილ ქუჩებზე
თურმე ფარანს აღარ ანთებს, აქაო და აქ სოფლაგრე-
ბი არა ცხოვრობენო, ხოლო დაბალ ხალხისთვის რა
საქირაა სინათლეო. და ასეთ გამგეობის შემყურენი
გაჰყვირიან: გამოვიყიდოთ „კონკაო“, და მერე დარ-
წმუნებული ხართ მეორე დღეს ჩვენიან „კონკიანათ“
ხრამში არ ვადაგვეყრიან? ქალაქს მართვა უნდა, მარ-
თვა კი გამგეობის დაეთარში არ წერია.

* * *

ღიან, ადგილი არ არის რისამე გამგეობა. აკერ
ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობაც გა-
ბმულა საგამგეობო ხათაბალაში და აღარ იცის რით
დააღწიოს თავი, ქართული თეატრი ხომ გვინდა და
გვენდა, ამას არაეინ უარს არ ჰყოფს, მარა ვინ უნდა
იტვირთოს წარმოდგენების გამართვა—ეს კი თავსა-
ხეთქ კითხვით გამხდარა. არტისტები ეუბნებიან გამ-
გეობას, თქვენ იტვირთეთო, გამგეობა კი არტისტებს
ჩაფრენია, სწირეთ ისე როგორც წინეთ გიწირავთ,
ნუ ჩაგვაგდებთ გასაქირშიო. ერთი მეორეს ედავება,
ერთი მეორეს ებაძება. ახლა როგორც ჩანს აპელა-
ცია ვადაუტანიათ უმაღლეს სამსახულოში, გამგეო-
ბას საზოგადოების წევრთა კრება მოუწვევია, გეინსე-
ნით ამ ბოროტებისაგანაო. ნეტავ ვიცოდეთ, რის
გამგეობაა ეს გამგეობა, რა მოვალეობა აწევს მას
კისრათ? დღემდის კი ის ერთათ ერთ საქმეს შერე-
ბოდა: ბანკიდან შემოწირულ ათას მანეთს ააღებდა
და თეატრს დაახარჯავდა, ხოლო წარმოდგენებს მუ-
ქათათ ვსწრებოდა. და მართლაც, თუ გამგეობის ხე-
ლობა ეს არის, ძალიან ადგილი და თანაც სასია-
მოენო ხელობა დაუჩემებია. მარა ყველა და-
წესებულებას ხომ თავისი „უსტავი“ აქვს. დრამა-
ტიული საზოგადოება იმიტომ ყოფილა გამოგონი-
ლი, რომ გამგეობა აიჩიოს, ხოლო გამგეობა იმი-
ტომ გაუჩენიათ, რომ წარმოდგენებს მუქათათ დაეს-
წროს.



სამი სურათი.

გერ ჭაბუკი, ატრეპელები
მიჩქებია მთვარეს გახადრულს
და უსიტეგოთა მთ უზიარებს
თავისსა ნაღველს — იმედსა
დანთქმულს.
ვინც გაიტაცა იგი პირვე-
ლთ,
ეფიცებოდა მტკიცე სიყვა-
რულს,

ვისიცა ჭირი თვისთ მიანდა
ვისგანც ელდა იგი სისარულს, —
მან უღალატა შეუბრალებლთ,
მის ღვთიურ გმნხასს უღვთოთ ჰქვას სკელი
და სისარულის სახანჯლოთ მისცა
უიმედობის მწარე ნაღველი.

აკერ ჭაბუკი, გულ ჩათსრებილი,
მარტოკა, ობლათ დაიარება,
ნაღველით სასუ, სულთ ობოლი,
ასლეს აწავის ან ეკარება.

მის აზრით კაცთა ტანჯვა-კაებას
წამდს ვერავინ გამოუჩინას
და მიტომ ყოველ მოღვაწეობას
უზრთოთ და ფუჭათა სასას...

შეშვრობილია უიმედობით,
მიზანი ან აქვს მისსა ცნობრებას,
აღარცა შრომა, ანც იდეალი
გერ აღვეს იმას იმედსა — შეკებას.

აკერ მუშაკი, შრომისა შვილი,
ქედ მოდრეკილი მიწას ჩაწქერის,
დაუღალავთ ოფეს ღვრის, მუშაობს
და თან გულ-ასლით ტკიბლათ მღვრის.

სკედრი მწარე... მკრამ სიმღერს
ავიწებს იმას დაწდსა მწავლსა,
წადგანაც აქვს მტკიცე იმედი —
მიწა მისცემს მას კარგ მოსავლსა..

მკრამ გამოჩნდა წასე ღრუბელი...
სეტყვამ ჩარეკა მის ჭიჩხისული...

ჩაუქვს პიძში ხმა სიმღერის
და დაეთუთქა სუფი და გული.

მთლათ გულს მითუთქავს ეს სუქათუბი,
მინდა მივრე მათ საშველათ სუფი,
მაგვამ, რა ვეძნებო ხემს აწაწაბას,
მათთან მეც მახწნებს სუგა დაშველი.

ბ. ღვითაშვილი.

თხზულებანი მამია გურიელისა.

(დასასრული) *


ჩვენი უპარველესი მიზანი იყო, აღვენიშნა უმთავრესი ტემები მამიას პოეზიისა და გავეჩინა ის უფრო შინაარსის მხრე; ენას, გარეგან ფორმას, აგრეთვე თარგმანებს ჩვენ არ ვეხებით. როგორც დაეინახეთ, ქალი და მამულის წარსულის დიდება მამიას უმთავრესი ტემაა, ჩვენ განვიხილეთ, როგორი შეხედულებისა იყო მამია ქალის დანიშნულებაზე, რას აფასებდა მასში. ჯერ მემკვიდრეობით მამიას ხასიათი იმგვარი უნდა გამოსულიყო, რომ მას თავდაპირველათ ქალში გარეგნობა უნდა ეძია, გარეგნობა უნდა ეფასებია. გარდა ამისა ამგვარ აზრში ზრდილა მას გურიის არისტოკრატია, რომლის გავლენას ქვეშაც ის იმყოფებოდა, ამგვარ მაგალითებს უჩვენებდა, რადგანაც არა თუ მაშინდელი, ახლანდელი არისტოკრატაც ამგვარი შეხედულებისა არის ქალის დანიშნულების შესახებ. ამგვარ აზრშივე განამტკიცა მამია სამხედრო წრის ზეგავლენამ; რიგიანი განათლება კი არ მიუღია, რომ ქალის სულიერი მხარისა და როლის შესახებ კაცობრიობის ცხოვრებაში ჭეშმარიტი შეხედულება გამოერკვია. ამგვართ ეს პირველი ტემა მამიას პოეზიისა პირდაპირი შედეგია ყველა ამ დასახელებული ფაქტორების ზეგავლენისა.

მთავრის ჩამომავალს უსათუოთ მემკვიდრეობით უნდა დაჰყოლოდა ვაჟკაცური სული, თავისუფლებისა და ბრძანებლობის სიყვარული; არისტოკრატია, რომლის გავლენის ქვეშაც მამია იზრდებოდა, წარმოადგენდა მხედრულ წოდებას, ის ყველაფერზე მაღლა აყენებდა ფეოდალურ თავისუფლებას; აწმყოში მას მნიშვნელობა დაეკარგა, წარსულში კი ის სრული ბატონი იყო თავის ქვეყანაში; ამიტომ მას აწმყო ძულდა, წარსულს ნეტარებით იკონებდა და რადგანაც, თვითონ წარსულში დიდებული იყო, მამუ-

ლის მთელი წარსულიც დიდებულათ მიანდა. მამია იზრდებოდა ამ საზოგადოებაში და მის ამგვარ შეხედულებას საესებით იტუისებდა. ამგვართ ეს ტემაც მამიას პოეზიისა ზემოხსენებულ ფაქტორების ზეგავლენის ნაყოფია.

მკითხველი უსათუოთ იკათხავს, ორივე ეს უმთავრესი საგანი მამიას პოეზიისა მართა მამიას საკუთრებაა, თუ ამგვარი მიმართულების პოეტები სხვებიც იყენ ჩვენშიო. აი, ჩვენი პასუხი: მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტეს დამდეგს ხელოვნური ლიტერატურა ჩვენში უმთავრესათ პოეზიას წარმოადგენდა პოეზიის უმთავრესი საგანი იყო ქალი, მისდამი ეროტიული სიყვარული, მისი ფიზიკური სილამაზის მკობა. ამგვარ მიმართულებას ჰქონდა საზრი თვით ცხოვრებაში? — უსათუოთ, რადგანაც მაშინდელი წარჩინებული წოდება ამგვარი შეხედულებას იყო ქალის ღირსება. დანიშნულებაზე და, რადგანაც ლიტერატურა თითქმის არისტოკრატის მონოპოლიას შეადგენდა, ჩვენი პოეტებიც ამ არისტოკრატის რწმენა შეხედულებას ატარებდენ ლიტერატურაში. საუკეთესო წარმომადგენელი ამ გვარი ეროტიული მიმართულებისა ჩვენ ლიტერატურაში არის ალ. ქაეჭავაძე, თითქმის ყოველი მისი ლექსის შინაარსს ქალის სილამაზის ქებათა ქება და ტრფიალი შეადგენს. შემდეგ ნიჭიერი მხატვარი ბუნებისა და ხელოვნანი გრ. ორბელიანი, რომელიც თავის ლექსების ერთ ნაწილში ქალებს უმღერის, მაგრამ გრ. ორბელიანი არის აგრეთვე წარმომადგენელი მეორე მიმართულებისა მაშინდელ ჩვენ ლიტერატურაში — პატრიოტულ მოტივისა, წარსულის დიდებისა. რამ დაბადა ასეთი მიმართულება ჩვენ ლიტერატურაში? ისევე ცხოვრებამ და თითქმის მართა არისტოკრატის ცხოვრებამ, რადგანაც მესამოცე წლებამდე ჩვენ მწერლობაზე გლახობას გავლენა არა ჰქონია და, კიდევ რომ ჰქონოდა, მისი ინტერესები ამგვარ მიმართულებას ვერ გამოიწვევდენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაჰკარგა თავისუფლება, საზოგადოება რამდენსამე ხანს გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩა, თითქოს ყოველივე, რაც მის გარშემო მოხდა, ან კარგათ არ ესმოდა, ან უფრო იმდენათ მოქანცული იყო, რომ ყურადღებას აღარ აქცევდა. გაიარა ასე ოციოდე წელიწადმა. თავადობა ყველაზე უმაღლ გამოერკვა, რადგანაც მან ყველაზე მეტი იზარალა; მიიხედ მოიხედა გარშემო, თვალსაჩინო ნაყოფა ახალი ცხოვრებისა ვერ დაინახა, თავისუფლება კი ხელიდან გამოცლოდა. მიიხედა უკან და დაინახა, რომ წარსულში მას თავის ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ალაგი ეჭირა, შესამჩნევი მნიშვნელობა ჰქონდა; ქვეყნის მართებაში დიდ მონაწილეობას

*) ის. „კვალი“, № 36.



იღებდა, ისეთი ბატონი იყო, ურომლისოთაც არა კეთდებოდა; აწმყოს ჩაუკვირდა და დაინახა, რომ ყოველივე ეს — ძალა, მნიშვნელობა, სრული უფლება, ბატონობა დაუბრუნებლათ დაჰკარგა, მას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მას აღარაფერ რას ჰკითხავდა, — ყურმოპირილ მონა მოზრჩილათ გადიქა. ამგვარი თვალის ახელის ბუნებრივი შედეგი ის იყო, რომ ჩვენ არისტოკრატის აწმყაზე გული აყვარა, შეიყვარა წარსული, აღიდებდა და ნეტარებით იგონებდა იმ დროს, როცა ის სრული ბატონი იყო. ამ ძველი თაობის გავლენის ქვეშ აღზრდილმა ახალმა თაობამაც ამგვართვე შეხვდა ცხოვრებას, დაებადა წარსულის განუახლებელი სიყვარული, მისი დაბრუნების სურვილი და მშ. წ. შეთქმულობა მოახდინა; მაგრამ ცდამ ამათ ჩაუარა, თავადობას მოლოდინი გაუცრუვდა, ძველი მნიშვნელობის დაბრუნების იმედი მან სამუდამოთ დაჰკარგა. ამ გარემოებამ უფრო გაუტეხა გული აწმყაზე, უფრო შეაყვარა წარსული.

ამგვარ მიმართულებას რომ ლიტერატურაშიც არ ეჩინა თავი, შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ მაშინდელი პოეტები თავად აზნაურობიდან გამოვიდნენ და არისტოკრატის გლოვას და წარსულის დიდებას ლიტერატურაში უსათუოთ გაატარებდნენ. როგორც ზემოთ მოეხსენეთ, გრ. ორბელიანის პოეზიაში უკვე არას ნიშნები ამგვარი მიმართულებისა, მაგრამ საუკეთესო და ყველაზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენელი ახალი ხანისა ჩვენ პოეზიაში არის ვახ. ორბელიანი, რომელსაც ილია სამართლიანათ უწოდებდნენ რომანტიკს. ეს მეტათ სიმპატიური პოეტი გულგატეხილია აწმყაზე, უნუგემო კირის უფალია სამშობლოს წარსული დიდებისა, მაგრამ ჩვენი წარსულის ცრუ გამომხატველი როდია; თუ წარსულ დიდებას გვაგონებს, ამავე დროს პირდაპირ გვეუბნება:

ჩვენი ივერი შვენიერი ახს სისხლის კაღა,
 გმიწთა აკლამა, გუფსაკლავი და სკაღაღა,
 მიგვითითებს წმინდა ნინოს ჯვარზე და გვეუბნება:

სისხლის ცრემლით მის ჯვარზედა ახს წაწეილი
 ჩვენს სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი.

ვახ. ორბელიანიმა ძალიან კარგათ იცის დაჰარტუნება სხვას უმაღლეს, რომ

ესე ახს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბუდი:
 კვლის გვიგვინი, სსსეუბა და კვლავ იმედი!

ეს იმედი მის სვედით მაცულ არსებას მუდამ თან დასდევს და ანუგეშებს:

თქვენი სამშობლო და გრეული კვლავ აყვავდება.

ამგვარი მოტივი ჩვენმა პოეზიამ დღემდის შეიჩინა და, შეიძლება, კიდევ დიდხანს შეიჩინოს, მაგრამ ლიტერატურის დედა ძარღვს ის აღარ შეადგენს; უმთავრესი მნიშვნელობა სამუდამოთ დაჰკარგა და ჩვენ არისტოკრატისთან ერთათ თან-და-თან ისპობა, ჰქრება. ცხოვრებამ ახლა სხვა უფრო პრაქტიკული, უფრო საჭირობოროტო კითხვები წამოაყენა. როგორც ამ მოკლე განხილვიდან დაინახეთ, ორივე უმთავრესი ტემა თავის პოეზიისა მამიას კი არ ეკუთვნის, ის მხოლოდ წარმომადგენელია ორგვარი მიმართულებისა ჩვენ ამ საუკუნის პირველი ნახევრის ღარბ ლიტერატურაში. იგი თავისი წინამორბედებისაგან მით განირჩევა, რომ პირდაპირ ამბობს: ქალი მხოლოდ ენებისათვის არის გაჩენილი. მისი მოწინავეებაც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ამდენათ გამბედავი კი არ იყვნენ. როგორც წარმომადგენელი მეორე მიმართულებისა, მამია მით განირჩევა სხვებისაგან და განსაკუთრებით ვახ. ორბელიანისაგან, რომ ის ცრუ გამომხატველია წარსული დიდებისა და აწმყოს გადაჭარბებულათ ჰკიცხავს.

დასასრულ აღამიანს შემდეგი კითხვა ებადება: თუ ცხოვრება შეიცვალა, ახალმა მიმდინარეობამ წარმოშობა ახალი მამულის შეილება და მოღვაწენი, თუ ამგვარი პირები თან-და-თან მრავლდებოდნენ და კვალსაც ტოვებდნენ ჩვენ ცხოვრებაში, რატომ ვერ იქონიეს მამიაზე გავლენა? ამაზე შემდეგი უნდა ვუპასუხოთ: ერთი-რომ ძალიან ძნელია იმ დიდების სრულიად დაეწყება, რომლებიც მემკვიდრეობას, აღზრდას და საზოგადოების გავლენას სიყმაწვილიდამევე შეუსისხლხორცვია აღამიანისათვის; მეორე მამია საზოგადოების ცხოვრებას თვალყურს მაინცა და მაინც დიდათ არაფრათ აღვენებდა, რასაც მთელი მისი ცხოვრება ამტკიცებს; მას ეგონა, თუ ჩვენ წინ არც მიედლოდით და ვერც წაეიდლოდით, სა-

ნამ არ დაეუბრუნდებოდით ძველებურ გზას, ურომ-
ლისოთაც პროგრესი, კეთილდღეობა მას შეუძლებ-
ლათ მაინც; მესამე — ბოლოს მაინც ცხოვრების
ახალმა მიმდინარეობამ, სხვა გვარმა მოღვაწეებმა,
მამიაზე იქონიეს გაელენა და შეარყიეს მისი ძველი
შენდელულებანი, რასაც გვიმტკიცებს მისი ორი ლექს-
ი „პოემიდან რაშიდ ვარდანოლი“, 72 წ. დაწე-
რილი და „ნატურა“, რომელიც 87 წ. ეკუთვნის.
ზევით დავინახავთ, რომ მამია სამშობლოს აწმყოთი
უკმაყოფილო იყო, წარსულს ოხვრით იკონებდა,
მისი სიმპატია წარსულისაკენ იყო. ამგვარი შეხედუ-
ლებისა იყვენ ის პირნიც, რომლებშიაც მამია აღიზარ-
და; ამიტომ მამიას ეს ძველი აზრის და ცხოვრების
წარმომადგენლები სამშობლოს საუკეთესო და ღირ-
სეულ შეიღებათ მიაჩნდა; ამგვარი პირებისაგან ელო-
და ეს მამულის ხსნას; მათ ყოველისფერი მოწონ-
და, მუდამ იმათკენ მიისწრაფოდა და ეს ასეც უნდა
ყოფილიყო: ყოველი ადამიანი ინსტინქტიურათ მი-
ისწრაფის თავის თანამოაზრეებისაკენ, მით უმეტეს,
თუ თავისი და მათი რწმენის ჭეშმარიტებაში არაეი-
თარი ეჭვი არა აქვს. ლექსი „პოემიდან რაშიდ ვარ-
დანოლი“ მოწმობს, რომ ამგვარი აზრი მამიამ ბო-
ლოს გამოაცვალა; მან შეიგნო, რომ ძველი თაობა,
რომელიც მას აქამდის მოწონდა, „გონების თვალთ
ხერინავს“, მისი ცხოვრება ადამიანის ღირსებასა სე-
რის; მას თავის ღრო მოუჭამია, თანამედროვე ცხო-
ვრებას მისი რწმენა და შეხედულება აღარ შეეფერე-
ბა, გამოუხადებარია მამულისათვის, ხანგადასული და
ამიტ მ

ყოველი აწის ხან გადასული
უნდა წაიჭეს და დაღუპს იგი.

პოეტს რწამს, რომ ეს ასეც მოხდება, რადგა-
ნაც

აწ ვის უნახავს მოხრუნებული
ამ ნაიწის ბუნების რიგი.

ეს სიტყვები პოეტისა თითქმის წინასწარმეტ-
ყველებაა, რომელიც ჩვენ ღრეში თან-და-თან
სრულდება. ახლა პოეტი ასპარეზს ახალ თაობას
უთმობს, სიხარულით ეგებება მას და იველიცა აქვს,
რომ

მათზედ ნაყოფინაც კარგნი გამოვლქი.

მისი სიმპატია ახლა ამ ახალთაობისაკენ არის.
ის აღარ ურჩევს მას, წარსული უნდა იყოს შენი იდეა-
ლიო, როგორც თავის პატრიოტულ ლექსებში, არა-
მედ, — მომავლისაკენ გაეშურეთ, „ყრუ ტყეში შარა
გაჭკაფეთ ძალითო“. მას რწამს, რომ ეს „ახალინი ვა-
ხნი“ თავის ერის საყდარს აგებენ და სწადია, მათ

მუშაობას შეუერთოს „სუსტი თუ რამ აქვს ძალი“,
რომ მისგანაც „ჩნდეს ერთი ქვის დაშენება“.

ქების ღირსია პოეტი, რომლის გამჭრიახობამაც
წინ-და-წინვე გადაჭრა, საით მიდიოდა ჩვენი ცხოვრება,
ვინ იყო ახალ ცხოვრებაში საჭირო და შესაფერი,
ვინ მეტი და ხან გადასული. მეორე ლექსში „ნა-
ტურაში“, ის თითქმის სრულიად უარყოფს იდეებს,
იმ რწმენას და შეხედულებას, რომლებიც პატრიო-
ტულ თხზულებებში გამოთქვა. ის ამ ლექსშიაც სამ-
შობლოს კეთილდღეობას ნატრობს, ხოლო ამ კე-
თილდღეობის მახსენებელ საშუალებათ ძველებში
წეს-წყობილება და ცალიერი თავისუფლება კი არ
მიჩნია არამედ ევროპიული ცხოვრება — გავეროპიე-
ლება: სა შობლოს განათლება, საერთო ნების გამე-
ფება, მეურნეობის აყვავება, ვაჭრობა მრეწველო-
ბის იმდენათ განვითარება, რომ „ფაბრიკები და მა-
შინები დაუთფელი იყოს ყოველ სოფელში“, და
ბოლოს თითონვე დასძენს:

ეს აწის ჩემი უმწვერვალესი
ნატურა რცხებად გარდაქცეული.

ამგვართ პოეტმა სამუდამოთ გამოიცვალა ბოლო
ხანებში თავისი აზრი და შეხედულება იმის შესახებ,
თუ როგორი ცხოვრებაა ჩვენთვის შესაფერი და სა-
უკეთესო, და ამით დაუხატა ყოველ ქართველ მო-
ღვაწეს, ვისაც კი მამულის საკეთილდღეოთ უნდა
მოქმედება, მიზანი, რომლისკენაც ის უნდა მიისწრა-
ფოდეს. თუ პატრიოტულ ნაწარმოებში მას იდეა-
ლი წარსულში გადაჭკონდა, ახლა იდეალს მომავალ-
ში ხედავს და მისი „უმწვერვალესი ნატურა ოცნე-
ბად გარდაქცეული“ გვიმტკიცებს, რომ პოეტის
თვალში ახლა წარსულს ადელი, ამ მომავლის იდე-
ალთან შედარებით, სრულიად სუსტი და უფერულია.
თუ მისი პატრიოტული ლექსების ტენდენცია თანა-
მედროვე იდეალებს მექონე მკათხველში თანაგრ-
ძნობას ვერ აღძრავს, ამ ლექსებში გამოთქმული
შეხედულება და „უმწვერვალესი ნატურა“ ყოველი
სალი და განათლებული გონების მექონე ადამიანისა-
თვის, ვინც უნდა იყოს ის, მატათ სიმპატიურია.
ხოლო სამწუხაროთ პოეტმა გვიან იცნო ჩვენი ცხო-
ვრება, გვიან შეიღვინა ჭეშმარიტი აზრი მის მსვლე-
ლობაზე; ძველ ტრადიციებში აღზრდილს არაეი-
თარი ეჭვი არ ჰქონდა მათ უპირატესობაში, მათი
სისრულე ბრმათ რწამდა, მაგრამ, როცა „ახალ ვა-
ხებს“ თვალის მოჭკრა, ევროპის ცხოვრებას ჩაუკვირ-
და და შეძღვე ჩვენ ცხოვრებას ჩააჩერდა; თავის
რწმენაში ეჭვი შეეპარა, უარყო ის და მასთან ერ-
თათ მისი მიმდევარი ძველი თაობაც, ის თაობაც,
რომელშიაც აღიზარდა, მიეკედლა ახალ მოაზრებებს,
დაებადა მათთან შრომის სურვილი, გამოიჩვენა,

თუმცა ჯერ ბუნდათ, უმთავრესი პუნქტები სამშობლოს საჭიროებისა, მაგრამ უფრო ვრცელი პროგრამის დახატვა აღარ დაცალდა. რომ ძველი არისტოკრატის ძლიერ გავლენას აცილებოდა, რიგანი, დროის შესაფერი განათლება მიეღო, ნიჭიერი პოეტი თუ არა, ნაყოფიერი მოღვაწე მაინც იქნებოდა, ჩვენ ცხოვრებას უფრო დააჩენდა კვალს და ყოველი ქართველის გულში „უქრობელ ლამპარს“ დაიდგამდა. ახლა კი ამის თქმა არ შეგვიძლია, როგორც უკვე მოვიხსენეთ, მაიას მგზავსი პოეტები სამშობლოს დაცემამ კი არა არისტოკრატის დაცემამ გამოიწვია ჩვენში; ისინი ჩვენი არისტოკრატის ინტერესების დამცველი არიან. დღეს ჩვენ თვალ წინ ეს არისტოკრატია კედება, მისმა ინტერესებმა საზოგადო უმთავრესი ხასიათი დაჰკარგეს და მათთან ერთად დრომ ამგვარ პოეტებსაც მნიშვნელობა დაუკარგა.

დასასრულ უნდა შევნიშნათ, რომ მაია გადაჭარბებული აზრისა იყო თავის ნიჭის შესახებ.

მეც დამკითხი ვარ ვიწყო წიქში

გონებისა ნათლის სუკტი. —

ამბობს ის „ნაძღვეში“. ჩვენება მას მრავალჯერ ნიჭიერს უწოდებს; პოეტს თავისი შუბლი „ღვთებრივ შუბლათ“ მიაჩნია. თუმცა „პოემიდან რაშიდ ვარდნოდელ“-ში ის გვეუბნება:

სულაჯ ან კელი,

რამ დაუვიწყარს ძეგლსა აღვადგინო,

მაგრამ ვადამეტებული აზრი თავის ნიჭის შესახებ მან მაინც ბოლომდის შეიჩინა. ჩვენ კი უნდა შევნიშნათ, რომ მაია არ იყო ისეთი დიდი ნიჭის პატრონი, რომ საზოგადოებისათვის წასაბაძავი იდეალები დაეხატა, ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის გზა ეჩვენებია; არც ძლიერი დაკვარებითი ნიჭი ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა აღენიშნა, აწონ-დაწონა და თავისი მსჯავრი დაედგა. მას შეეძლო მხოლოდ მოკლე ლექსების წერა და ამ ლექსებში რამდენიმე, როგორც შინაარსით ისე გარეგანი ფორმითაც, იმდენად შევნიერია, რომ მიმზიდველ სილამაზეს დიდხანს არ დაჰკარგავს. ამ ლექსების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მაია ბუნებამ პოეტად დაბადა, მაგრამ დაბალი პოეტური ნიჭი, სუსტი ფანტაზია და ხელოვნება დაატანა. მაიას პოეზიას მნიშვნელობა აქვს კიდევ აი, რა მხრით: ტემები მაიას პოეზიისა მართლ მაიასი კი არ არის, არამედ მთელი ჩვენი მეორმოცე წლებს არისტოკრატისაც. თავისი თავის გაცნობით პოეტი გეაცნობებს ამ არისტოკრატისაც, მის რწმენას, მებედულებას, სურვილს და მცირეოდენად ცხოვრებას. ვისაც

უნდა შეისწავლოს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ჩვენი არისტოკრატია, გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობა ჩვენში, მაიას პოეზია მას ძალიან კარგ სამსახურს გაუწევს.

ივ. გამაჩთელი.

მეზაურის შენიშვნები

დ დ ე ბ ა.

მიუნხენმა წელიწადში სამი დღეობა იცის. ამათგან ორში ქალაქის ყველა მცხოვრებნი იღებენ მონაწილეობას, ხოლო ერთი კი საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს, მუშათა კლასს, ეკუთვნის. ეს ყოველი წლის პირველ მაისს ხდება და მუშათა წლიური დღეობა ჰქვია.

პირველი მაისის დღეობა მართლ მიუნხენის მუშა ხალხს არ ეკუთვნის. 1889 წელს მოხდა პარიზში მუშათა საერთაშორისო კონგრესის და ამ კონგრესზე დადგინეს დღეგატემა პირველი მაისის დღეობა. მას შემდეგ მთელი ევროპას მუშა ხალხი დღესასწაულობს 1 მაისს, უქპობს და მთელ დღეს დემონსტრაციებში, ორატორების სიტყვის მოსმენაში და საზოგადოთ თავისი კლასისიური თვით ცნობიერების გამოცხადებაში ატარებს. თუ ჩვენ აქ ეს დღეობაც მიუნხენზე სალაპარაკო სიაში შეგვაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ აქაური მუშა ხალხი ამ დღეობასაც ადგილობრივ ელ-ფერს დებს.

30 აპრილს საღამოს, აგრეთვე 1 მაისს დილიდან შუადღემდის—ქალაქის ათს სხვა-და-სხვა დიდ ლულ-ხანებში იმართება მუშათა კრებუბი. აქ ორატორები უხსნიან მუშებს პირველი მაისის მნიშვნელობას, რომ ამ დღის უქმობა მთელი ქვეყნის მუშათა ერთიანობის, სოლიდარობის (თანხმობის) ნიშნავს; რომ ამ დღეობით მუშა აცხადებს თავის კლასისიურ ინტერესს, თავის მტრობას და შეურიგებლობას ბურჟუაზულ წეს წყობილებასთან, იმ წეს-წყობილებასთან, რომლის წყალობით უმრავლესობა უმცირესობისგან იჩაგრება და სიღარიბის მსხვერპლი ხდება; რომ მთავრობა ამ უმცირესობის ინტერესებს იცავს, მას ენმარება და რომ მუშა ხალხის დანიშნულებაა გაერთიანდეს, თავისი კლასისიური ინტერესები შეიგნოს, რომ ერთ დღეს სასტიკი მტერი საქლიოს და ნაცვლათ ახლანდელი ყვლეფა-გლეჯისა დაამყაროს ძმობა და თანასწორობა...

ნაშუადღევს მუშები ქალაქს გარეთ მდებარე ტყეში გადიან და თავის დღეობას იქ იხდიან. შიგ



ქალაქში ერთათ თავ მოყრილათ სიარულს და მან-
ფესტაციას პოლიცია უშლის. ტყეში კი თავსუფ-
ლათ არიან. იქ პოლიცია აღარ ეკარება. ფაბრიკები
და ზაფხულები ამ დღეს დაკეტილია, რადგან მუშები
თავიანთი ოჯახობით 1 მაისს დღესასწაულობენ. ამ
დღეობაზე დასასწრებლათ მამაკაცი იხდის 20, ხო-
ლო ქალი 10 ჰფენინგს. ეს ფული მუშების კასაში
მიდის.

გაზაფხულის შეენიერი დღეც ხელს უწყობს
და რაღაც თავისებურ ფერს ადებს ამ დემოკრატიულ
დღეობას. ამწევანებული ხეების სურნელება, ლუდის
ჭიქების ხნარუნი და ცხელი ძეხვების ოშნივარი ერ-
მანეთში ირევა. ლუდის ბოჭკება ზავოდებს სამი
დღის წინეთ დაუგროვებით აქ. დადგმულ ა ხის
გრძელი სტოლები და ისეთივე გრძელი სკამები. თი-
თო სტოლთან ორმოციოდე კაცია შემამწკრივებუ-
ლი. სტოლზე აწყვია ძხვი, რვეალი პურები, ბო-
ლოკი და ლუდით სავსე თახის ჭურჭლები. ტყის
შუა ალაგას გამართულია სცენა ხის ტოტებით და
ყვავილებით შემკული. ერთი მხრით დგას მარქსის
ქანდაკება, მეორე მხრით - ლასალის, ორივე ქანდა-
კება ყვავილებითაა დაბურული. სცენის ერთი მხრი-
დან წითელი ტილაა ამართული და ზედ აწერია
დიდი ასოებით: „ძმობა, თავისუფლება, თანასწორო-
ბა. ჩვენ ვთხოვლობთ რვა საათს სამუშაო დღეს“.
სცენაზე აღიან მომღერლები და მუშების ლექსებს
მღერაან. მუზიკა მარსელიეზას უკრავს, ხალხი ხმა
აყოლებს და მთელი ტყე გრგვინვას იწყებს. სწო-
რეთ ფრანგს გენიოსობას შეეძლო ასეთ პატარა
სიმღერაში ამდენი გრძობის და ენტუზიაზმის შთა-
ბერვა! მთელი სხეული გიცაბკახვბსთ, ძარღვებში
სისხლის მოძრაობა მატულობს, გული საომრათ გი-
წვევსთ, როცა მარსელიეზას გალობა გესმისთ. „წავლენ-
კოთ უსამართლობაო“, გრიანებს რამდენიმე ათა-
სი სული ადამიანი და ამას ისეთი გრძობით, ისე-
თი გატაცებით, რომ მაყურებელი თავ-დავიწყებას
ეძლევა, მოთმინება ეკარება და ჰეიქრობს, რომ აი,
ეს არის ამ წუთში გადმოჰხეტქს ხალხის ძლიერების
ნაკაღული და მთლათ წაჰლექს, წარეცხს საზოგადო-
ებაში არსებულ სიბოროტესო...

მუსიკის ხმა წყდება და სცენაზე აღის ფოლმა-
რი. ეს რეისხტაგის დეპუტატა მიუნხენიდან. ერთს
საათს ლაპარაკობს, ხალხს ლუდს და ძეხვს ავიწყები-
ნებს და თვისი მჭევრმეტყველების მიზანთ ხდის. ათა-
ვეებს სატყუას და ოცდა ხუთი ათასი მუშა ტაშს უკ-
რავს. მთელი არე მ.რე გრიანებს. ეს გრიალი ქალა-
ქამდე აღწევს და იქ მდიდრებს აგებინებს, რომ აქ,
ამ ტყეში, იზრდება საშიშარი ძალა, ძალა მტარე-
ლობისა და ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ მომართუ-
ლიო...

გარდა ამისა აქ არის ხალხისთვის სხვა-და-სხვა
გასართობი: ბავშვებისთვის საპროფიალო, ჯამბაზე-
ბის წარმოდგენა, ცეკვა და საცეკვაო მუზიკა, არლა-
ნი და სხვ.

შეზინდებისას ხალხი ტყეს შორდება სიმღერით
და ხელში ანთებული წითელი ფარნებით ისევ ქა-
ლაქში ბრუნდება, რომ მეორე დღეს ჩვეულებრივ
შრომას და ოფლის ღირას შეუდგეს.

მეორე დღეობა მიუნხენში არის „ყვენობა“ (Re-
doute ანუ Wacchamale), მარა ეს ისეთი საშინელებ-
ბა რამეა, რომ მკითხველი უეჭველათ დაფრთხება,
რომ აეწერო. აქ დროს მთელი მიუნხენი, იკოადეთ
თავზე ხელ აღებულთა და სმის და ქეიფის მეტი არა
ახსოვსრა. ჩვენ ამას გვერდზე აუაროთ და რამდენისამე
სიტყვით მესამე დღეობა მოვიხსენიოთ.

ეს არის Octoberfest - მიუნხენისთვის უქმე. ეს
დღეობა გრძელდება ერთ თვეს. იწყება 15 სექტემ-
ბერს და თავდება 15 ოქტომბერს. დღეობისთვის სა-
მზადის ერთი თვის წინეთ იწყებენ. ქალაქის განა-
პირას, Theresienviere-ზე იმართება ჩვეულებრივ ეს
დღეობა. ყველა ლუდის ზავოდები აქ აკეთებენ დრო-
ებითი შენობებს და ლუდხანებს ჰმართვენ. შენობე-
ბის სახურავს ზევით ფართე ფიცრებს აკრავენ და
ზედ ფირმის სახელს აწერენ და საკუთარ ლუდსაქე-
ბენ. ეს რეკლამაა. დღეობისთვის დანიშნული ადგი-
ლი ფართე და დიდი არაა. სიგრძე ამ ადგილს ნა-
ხევარ ვერსტი ექნება, ამდენივე განი, მაგრამ მთე-
ლი ეს არე-მარე სულ ლუდის სასმელათ დანიშნულ
ფარდულეებით მოფარულია. გერმანელს ლუდთან ხომ
ძეხვიც ეჭირება და აი აქაც ჰაერი გაჟღენთილია ძე-
ხვის სუნით. ძეხვებს ზოგს ხარშვენ და ზოგს სწვენ
პლიტაზე. დადინართ და იმათი შიშინი გულს გიწე-
რილებსთ. პირველ დღეს თვითონ პრინც-რედენტი
დაესწრება დღეობის კურთხევას და გახსნას. შემდეგ
იწყება: დოლი, ფეხზე სარბილი, ბავარიის ეროვნუ-
ლი ტანთ საცმელის გამაფენა, ნიშანში თოფების
სროლა, საპროფიალაზე პროფიალი, არღნის ჭყიბინი,
ძეხვების შიშინი, ლუდს სმა და ღრიანცელი. მი-
უნხენელს ეს დღეობა ძალიან მოწონს. ხალხი ყო-
ველ დღე ზღვასავით მოდის; თითოეული აქაური
მცხოვრები რამდენჯერმე წავა ამ დღეობაზე. ვინც
მოუცლელობის გამო ვერ მოახერხებს ნახვას, ძა-
ლიან გულ ნაკლული რჩება. ქალები მაინც ყოველ
ღონის-ძიებას ხმარობენ, რაც შეძლება ხმარ-ხში-
რათ წავიდენ Octoberfest-ზე. ამ ერთი თვის განმა-
ვლობაში თითოეული მალაზია რიგ რიგათ სამი დღით
იკეტება და შიგ მოსამსახურე ნოქარ ქალებს შეძლე-
ბა ეძლევათ დღეობაზე დასწრებისა. კვირაობით მაინც
სადღესასწაულო ადგილი სულ ერთ-ანათ ხალხით

გაქვლილია და ტევა აღარ არის. ამ დროს გამწარებული მიწოლია გაჩაღებული. მოუხეშელი ბევრიე-ლი არ დასვენეს, ვის დაეჯახება, ქალს თუ ბავშს, მისთვის სუსტი და ძლიერი სულ ერთია, მის და გააქვს მკერდით ყველაფერი. Pardon! ბოდიშის მო-ხდა მისთვის არ არსებობს. გვერდს შეგაგლეჯს და ამისთვის ერთსაც კი არ მოგხედავს. არა თუ აქ, ქუ-ჩაშიაქ კი, საცა ხალოვათობაა, ის ასეთია. აქ ხალხის მოძრაობას კიდევ უფრო აძნელებს დროების შეუ-წყვეტელი სიარული. ეს დროები ლუდით სავსე ბოჭკებითა და ტეირთული და ზეოდების საწყობე-ბიდან მოდიან. თუ მუდამ არ ზიდეს ლუდი, ისე ამ აუარებელ ხალხს რა აუვა.

რა იზიდავს აქ ხალხს, — არ იქნა ვერ გავიგე-ქამა-სმა საქ ყოველად მოუხერხებელია. დასაჯდომ ად-გილს ვერ იშოვია. ვისაც ადგილი და სკამი უნდა, ის ადრე მოდის და იჭერს, შემდეგ ვინც მოდის, ის სკამს ველარ შოულობს. ფეხზე მდგარმა უნდა ჭ-მით და სვით, მიუხეხნელიც ასე შერება. დგას, ერთ ხელში ცხელი ძეხვი და პური უჭირავს, მეორეში ლუდით სავსე თიხის ჭურჭელი ღ შეექცევა; ქალი — კაცი — ყველა ასე შერება. საჭმელ-სასმელის მამრ-თმევი აქ არაინაა. ყველა ეს თვითონ უნდა მონა-ხნოთ. საჭმელათ ძეხვი — მეძეხვესთან, ლუდი კიდევ ბო-ჭკასთან. ბოჭკასთან რომ მიღიხართ, ლუდის ჭურ-ჭელი ხელში უნდა გეჭიროსთ. ეს ჭურჭლები ათა-სობით ჰყრია იქვე აუზში. კრანს პირი მოხსნილი აქვს, წყალი გადმოდის და ჭურჭლები ირეცხება. ასე და ამნაირათ, აქ ჭამა-სმა და ქეიფობა ერთ თვეს წარმოებს. და ამაში მონაწილეობას ღებულობს არა მარტო მიუხეხნელი, არამედ ახლო-მახლო სო-ფლებიც და ქალაქებიც.

ამით ვათავებ საერთოთ მიუხეხნე საუბარს. იმედი მაქვს, ახლა მომავალში მკითხველს გავაცნობ გერმანიის ცხოვრების ღირს შესანიშნავს მხარეებს.

ფ. ზატკიშვილი.

„კვალის“ ფოსტა.

ბ. ზაქმიანს, თქვენი საინტერესო წერილი ვერ იბეჭდება.

ბ. იოსებ ტაბატაძეს. ჩვენ სიამოვნებით დავბეჭ-

დავდით თქვენ საპასუხო წერილს, რომ მეტად და-ვიანებული და ქებათა-ქება არ იყოს.

ბ. ა. გვათუას. გვაცნობეთ თქვენი ადრესი.

შეხვედრის ბასწორება.

„კვალის“ № 36 კორესპონდენციაში სოფ. სეგრი მეორე სტრიქონში არის: 16 კომლი მცხოვრები, უნდა იყოს: 180 კომლი მცხოვრები.

ბ ა ნ ზ ხ ა ღ ე ბ ა .

ქალ-ვაჟთა სკოლა ელენე ლუკას ასულის ბაბ-ტაძისა დ. ხონში, პირველ სექტემბრიდან ამა 1898 წლისა, ნებართვითა ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქნება ქალების ოთხ-კლასიან სასწავლებლათ.

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ი ს

კურსით. მოსწავლეთა გამოცდა უნცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დან 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევს 2 სა-თამდის. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის — ელენე ბანტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნა-ზიულ კლასებში 50 მანეთი წელიწადში.

გ ა ს ნ ა ვ ლ ა გ ე ლ კ ა ლ თ ა სა ზ ო გ ა დ ო ე ბ ს ს კ ო ლ ა უ

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსუ-ლი არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებან, იმ კუთხეში, სახლი საგარდა — პოს-ერბსკისა, № 12. სწავლა დაიწყება 1-ს ენკენისთვეს.

ქედატორ-გამომცემელი ან. თ. - წერეთლისა.